წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის

ო ქ მ ი N 4

ქ. წალკა; 06.02.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე რადიკ სარკისიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ავთანდილ ვანაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი მანანა გულედანი, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი,ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ჯაბა აბულაძე, ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე მალხაზ მგელაძე, ფრაქცია „ერთობა წალკისთვის“ თავმჯდომარე ასლან მგელაძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“;

2. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებს და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში.

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ წალკის მუნიციპალიტეტის მერიიდან ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და წალკის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის შესახებ“. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად დაიწყოს დადგენილების პროექტის განხილვის პროცედურები დაევალოთ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას და საკრებულოს ფრაქციებს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და არაუგვიანეს მ/წლის 20 თებერვლის საკრებულოს ბიუროს მორიგი სხდომისთვის წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები;

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებს და 2024 წლის 1 ივლისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში. ბიურომ ღია კენჭისყრით (12 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: დაევალოს საკრებულოს კომისიებს და ფრაქციებს სხდომებზე უზრუნველყონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებულ მუნიციპალიტეტების 2022-2023 წლებს და 2024 წლის 1 ივნისამდე პერიოდში საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის გაცნობა და განხილვა;

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი*